ISFED
1995 წლიდან
სამართლიანი არჩევნებისა
და დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

# წლიური ანგარიში

2025

# სარჩევი


1. აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა ..... 2
2. „სამართლიანი არჩევნების“ შესახებ ..... 4
3. საარჩევნო რეფორმა ..... 4
4. არჩევნებზე დაკვირვება ..... 6
5. მოქალაქეთა უფლებების დაცვა და პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლა ..... 7
6. სოციალური მედიის მონიტორინგი ..... 9
7. ევროპული ინტეგრაცია ..... 10
8. საერთაშორისო მისიები ..... 11

# 1. აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა

2025 წელი ქართული სამოქალაქო საზოგადოების, დამოუკიდებელი მედიისა და დემოკრატიული ინტიტუტებისთვის უპრეცედენტო სამართლებრივი, ოპერაციული და პოლიტიკური გამოწვევებით იყო გამორჩეული. 2024 წელს შემზღუდველი კანონების მიღებისა და პოლიტიკური არასტაბილურობის შემდეგ ჩვენი ორგანიზაცია და მთლიანად პრო-დემოკრატიული მოძრაობა იძულებული გახდა, ოპერირება გაეგრძელებინა სულ უფრო მტრულ, ავტორიტარულ გარემოში, რომლის მიზანიც სამოქალაქო სივრცისა და სამოქალაქო საზედამხედველო მექანიზმების მოშლა იყო.

2025 წელს საქართველოში დემოკრატიული მმართველობისა და ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტები უპრეცედენტოდ გაუარესება. მმართველმა პარტიამ სახელმწიფო ძალაუფლების კონსოლიდაცია დრაკონული სამართლებრივი მექანიზმების ამოქმედებით, მათ შორის „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ მიღებით, უცხოურ გრანტებსა და ტექნიკურ დახმარებაზე მკაცრი კონტროლის და მშვიდობიანი შეკრების კონსტიტუციურ უფლებაზე მკაცრი საკანონმდებლო შეზღუდვების დაწესებით შეძლო.

საკანონმდებლო რეპრესიებს თან ახლდა მიზანმიმართული ინსტიტუციური შევიწროება. ანტიკორუფციული ბიურო და გენერალური პროკურატურა გამოყენებულ იქნა დამოუკიდებელი სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების წინააღმდეგ, რაც გამოიხატა დაუსაბუთებელ ფინანსურ ინსპექტირებაში, კანონით დაცული კონფიდენციალური მონაცემების მოთხოვნასა და ე.წ. „საბოტაჟის“ საქმის გამოძიებაში. 2025 წლის აგვისტოში სასამართლომ, გენერალური პროკურატურის მოთხოვნით, „სამართლიანი არჩევნებისა” და სხვა 6 სამოქალაქო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშები უსაფუძვლოდ დააყადაღა. საბანკო ანგარიშების დაყადაღებამ ჩვენი ორგანიზაცია მძიმე ოპერაციულ კრიზისში შეიყვანა და გვაიძულა, დაგვეხურა ცენტრალური და ექვსი რეგიონული ოფისი.

პოლიტიკური რეპრესიები სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს გასცდა და მიზანში ამოიღო რიგითი მოქალაქეები, საჯარო მოხელეები, ჟურნალისტები და სამოქალაქო აქტივისტები. ათობით მშვიდობიანი მომიტინგე, სამოქალაქო აქტივისტი და პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენელი პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის ბრალდებების, ხანგრძლივი პატიმრობის ან წინასწარი პატიმრობის პირობებში იმყოფა. სამართალდამცავმა ორგანოებმა არაერთხელ გამოიყენეს გადაჭარბებული და არაპროპორციული ძალა დემონსტრანტების წინააღმდეგ, რამაც მათი ჯანმრთელობა მძიმედ დააზიანა და რაც დოკუმენტირებულია ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ჯგუფების მიერ.

საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მხარდასაჭერად გაკეთებული საჯარო განცხადებების შემდეგ ასობით საჯარო მოხელე, მათ შორის ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოებში დასაქმებული გამოცდილი თანამშრომლები სამსახურიდან დაუსაბუთებლად, რეორგანიზაციის საფარქვეშ, გაათავისუფლეს. გარდა ამისა, ამ ადამიანების ნაწილი სამუშაო ადგილზე ზეწოლის მსხვერპლი გახდა.

ჟურნალისტები და მედიაში დასაქმებული სხვა პირები მუდმივი შევიწროების, ფიზიკური ძალადობისა და ფინანსური წნეხის წინაშე აღმოჩნდნენ. მმართველმა პარტიამ სამიზნედ აირჩია ონლაინ მედია საშუალებები და დამოუკიდებელი პლატფორმები, ცდილობდა რა მათი დაფინანსების შეწყვეტასა და კრიტიკული რეპორტაჟების შეზღუდვას.

კანონმდებლობისა და პრაქტიკის დონეზე მნიშვნელოვნად გაუარესდა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების სტანდარტები, გააუქმდა გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო გარანტიები და შემოღებულ იქნა სიტყვის თავისუფლების ყოვლისმომცველი შეზღუდვები.

ასეთი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, „სამართლიანი არჩევნები" არ გაჩერებულა. ძირითადად მოხალისეობრივ საწყისებზე მომუშავე ჩვენი გუნდი საკუთარი მიზნების ერთგული დარჩა, რომელთა შორისაა: ადამიანის უფლებების დაცვა, დეზინფორმაციისა და უცხოური ინფორმაციული მანიპულაციების გამოვლენა, საარჩევნო პროცესებზე დაკვირვება და ანალიზი, ასევე, იმ მოქალაქეებისთვის უფასო იურიდიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, რომლებიც უსამართლოდ დაიჩაგრნენ, დაჯარიმდნენ ან სამსახურიდან გათავისუფლდნენ პოლიტიკური ნიშნით.

2025 წელს ჩვენ გამოვაქვეყნეთ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ყოვლისმომცველი საბოლოო ანალიზი, შევაფასეთ 2025 წლის მუნიციპალური არჩევნების ირგვლივ არსებული მდგომარეობა, გავასაჩივრეთ დამკვირვებლის უფლებების შემზღუდველი რეგულაციები და გავაფართოვეთ სოციალური მედიის მონიტორინგი, რათა გამოგვევლინა საინფორმაციო მანიპულაციები და პროპაგანდისტული კამპანიები.

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს გუნდს, ადვოკატებს, დონორებსა და პარტნიორ ორგანიზაციებს, რომლებიც ზეწოლის ქვეშაც აგრძელებდნენ მუშაობას. ასევე, სიამაყით აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ 2025 წელს „სამართლიანი არჩევნების" ყოფილ აღმასრულებელ დირექტორს, ნინო დოლიძეს, აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) საქართველოში არჩევნების კეთილსინდისიერებისა და დემოკრატიის დაცვაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლენ კ. ოლბრაიტის სახელობის დემოკრატიის ჯილდო მიანიჭა.

ახალი წლიდან დავსახეთ სტრატეგიულ მიზნები 2026–2029 წლებისთვის. „სამართლიანი არჩევნები" მტკიცედ დგას ქართველი ხალხის გვერდით და ეცდება საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყანაში სამართლის უზენაესობის დამკვიდრებაში, უსამართლოდ დაკავებულთა გათავისუფლებასა და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე დაბრუნებაში.

**ლევან ნატროშვილი**

*აღმასრულებელი დირექტორი*

## 2. „სამართლიანი არჩევნების“ შესახებ

**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება („სამართლიანი არჩევნები”)** დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც საარჩევნო პროცესებზე სამოქალაქო დაკვირვების მიზნით 1995 წელს დაარსდა.

დაარსების დღიდან „სამართლიანი არჩევნები” საქართველოში ჩატარებულ ყველა საერთო-ეროვნულ არჩევნებს დააკვირდა. წლების განმავლობაში ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესებაში, საარჩევნო გარემოსა და მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებების დაცვაში. „სამართლიანი არჩევნების” საქმიანობის ფარგლები მოიცავს დემოკრატიული მმართველობის ძირითად სფეროებს, მათ შორის ადამიანის უფლებების დაცვას, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, უცხოური საინფორმაციო მანიპულაციისა და ჩარევის წინააღმდეგ ბრძოლას და საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მხარდაჭერას.

ისტორიულად „სამართლიანი არჩევნები” ოპერირებდა თბილისის ცენტრალური ოფისის, ექვსი რეგიონული ოფისის (ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, გორი, ბოლნისი და გურჯაანი) და ადგილობრივი წარმომადგენლების მეშვეობით მთელი ქვეყნის მასშტაბით, რითაც ორგანიზაცია ინარჩუნებდა საქართველოში სამოქალაქო დაკვირვების ერთ-ერთ უდიდეს ქსელს.

„სამართლიანი არჩევნები” წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც დაახლოებით 300 წევრს აერთიანებს. საზოგადოების უმაღლესი მმართველობითი ორგანოა წევრთა საერთო კრება, რომელიც წელიწადში ერთხელ ტარდება. საერთო კრება 9 წევრისგან შემდგარ გამგეობას ირჩევს. გამგეობის თითოეული წევრი 3 წლის ვადით აირჩევა. ყოველწლიურად საერთო კრებაზე გამგეობის შემადგენლობის 1/3-ის განახლება ხდება. გამგეობა, თავის მხრივ, ნიშნავს აღმასრულებელ დირექტორს და მეთვალყურეობს ორგანიზაციის სტრატეგიულ მიმართულებებსა და ზოგად საქმიანობას. აღმასრულებელი დირექტორი უძღვება ორგანიზაციის საქმიანობას. 2025 წელს, ნინო დოლიძის ვადის ამოწურვის შემდეგ, აღმასრულებელ დირექტორად ლევან ნატროშვილი იქნა არჩეული.

## 3. საარჩევნო რეფორმა

2025 წელს „სამართლიანი არჩევნები” მუდმივ რეჟიმში აკვირდებოდა და აანალიზებდა საკანონმდებლო ცვლილებებს, აფასებდა მათ შესაბამისობას კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებთან.

### 2025 წელს შეფასებული ძირითადი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ცვლილებები:

- **ცესკოს დადგენილებით დამკვირვებლებზე დაწესებული შეზღუდვები (3 აპრილი, 2025):** *ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) შეცვალა დადგენილება „კენჭისყრის ელექტრონული*

*საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ,"* რითაც მნიშვნელოვნად შეიზღუდა დამკვირვებელთა უფლებები არჩევნების დღეს. დამკვირვებლებს აეკრძალათ ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნა ან შემოწმება და ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატზე გამოტანილი ამომრჩევლის მონაცემების, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრისა და ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენზე გაკეთებული არჩევანის ფოტოვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება. „სამართლიანმა არჩევნებმა" აღნიშნული დადგენილება თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ ამ ცვლილებებით არსებითად შეიზღუდა საარჩევნო პროცესებზე ეფექტიანად დაკვირვებისა და დარღვევების დოკუმენტირების/მტკიცებულებათა შეგროვების შესაძლებლობა. სასამართლოებმა „სამართლიანი არჩევნების" სარჩელები არ დააკმაყოფილეს.

- **საკრებულოს საარჩევნო სისტემის მოდიფიკაცია:** მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის არჩევნების წინ მმართველმა პარტიამ მუნიციპალური საარჩევნო სისტემის სამეტაპიანი მოდიფიკაცია განახორციელა. ცვლილებები მოიცავდა საკრებულოს მაჟორიტარული არჩევნებისთვის 40%-იანი ბარიერის გაუქმებას, მაჟორიტარული მანდატების წილის გაზრდას, პროპორციული არჩევნებისთვის ბუნებრივი ბარიერის ზრდას და მანდატების გადასანაწილებელი ფორმულის შეცვლას მმართველი პარტიის სასარგებლოდ. „სამართლიანი არჩევნების" შეფასებით, ეს ცვლილებები არღვევდა საერთაშორისო სტანდარტებს და ემსახურებოდა ვიწრო პარტიულ ინტერესებს.

- **ქვეყნის ფარგლებს გარეთ ხმის მიცემის გაუქმება (ოქტომბერი–დეკემბერი 2025):** 2025 წლის 17 დეკემბერს „ქართული ოცნების" პარლამენტმა ახალი საარჩევნო კოდექსი მიიღო, რომელმაც მთლიანად გააუქმა საქართველოს მოქალაქეებისთვის საპარლამენტო არჩევნებში საზღვარგარეთიდან ხმის მიცემის შესაძლებლობა. „სამართლიანმა არჩევნებმა" ეს ნაბიჯი საყოველთაო საარჩევნო უფლების პირდაპირ დარღვევად შეაფასა და მის გასაჩივრებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აპირებს.

- **ყოვლისმომცველი საკანონმდებლო შეზღუდვები (16 ოქტომბერი, 2025):** დაჩქარებული წესით ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" ორგანულ კანონში, საარჩევნო კოდექსსა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანულ კანონში. „სამართლიანმა არჩევნებმა" ეს ცვლილებები შეაფასა, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე დაწესებული მძიმე შეზღუდვები, რომლებიც მიზნად ისახავს ავტორიტარული მმართველობის კონსოლიდაციას.

# 4. არჩევნებზე დაკვირვება

## 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში

2025 წლის დასაწყისში „სამართლიანმა არჩევნებმა" გამოაქვეყნა საბოლოო ანგარიში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ყველა ეტაპის მონიტორინგის შედეგების შესახებ. ანგარიში დოკუმენტურად ასახავდა სისტემურ დარღვევებს, მათ შორის მმართველი პარტიის მიერ ძალისმიერი, სამართლებრივი, ინსტიტუციური, ფინანსური და მედია ადმინისტრაციული რესურსების ფართომასშტაბიან გამოყენებას.

ანგარიშის მიხედვით, დემოკრატიული არჩევნების ხუთი ძირითადი პრინციპიდან ოთხი – საყოველთაობა, თავისუფლება, თანასწორობა და ფარულობა – არსებითად დაირღვა. წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს გამოვლენილი ფუნდამენტური ხასიათის დარღვევების ერთობლიობამ, ამომრჩეველთა დაშინების, ზეწოლის, მუქარისა და მოსყიდვის სისტემური და ორგანიზებული სქემების გამოყენებამ, გავლენა მოახდინა ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოვლენაზე და, შესაბამისად, არჩევნების შედეგები არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საქართველოს ამომრჩევლის ნების ჭეშმარიტი გამოხატულება.

## მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის არჩევნების შეფასება

2025 წლის აგვისტოში „სამართლიანმა არჩევნებმა" გამოაქვეყნა 2025 წლის ოქტომბრის მუნიციპალური არჩევნების წინა პერიოდის გარემოს შეფასება, რომელშიც მიმოხილული იყო პოლიტიკურ კონტექსტი, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა, საკანონმდებლო ჩარჩო, მედიაგარემო და სამოქალაქო საზოგადოებისთვის შექმნილ ბარიერები.




ანგარიშის მიხედვით, ვენეციის კომისიის საარჩევნო ნორმათა კოდექსის ის სამი პირობა, რაც მოიცავს ძირითადი უფლებების პატივისცემას, საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობასა და პროცედურული გარანტიების არსებობას, დიდწილად არ იყო დაცული, რითაც თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული. მტრული მარეგულირებელი გარემოს, დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვისა და საბანკო ორგანიზაციების დაყადაღების გამო, „სამართლიანი არჩევნები" სტანდარტული სადამკვირვებლო მისიითა და მეთოდოლოგიით 2025 წლის მუნიციპალურ არჩევნებს არ დაკვირვებია.

## საარჩევნო კამპანიის ფინანსების მონიტორინგი

„სამართლიანმა არჩევნებმა" მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის არჩევნების კამპანიის შემოსავლები და ხარჯები დეტალურად გააანალიზა. კვლევა ძირითადად პარტიების მიერ ანტიკორუფციული ბიუროსთვის წარდგენილ ფინანსურ ანგარიშებს დაეფუძნა (მოიცავდა 2025 წლის 5

აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე პერიოდს). ანგარიშში ხაზგასმული იყო კამპანიის ფინანსების უთანასწორობა, პარტიული შემოსავლების წყაროები და კამპანიის დაფინანსების მნიშვნელოვანი გავლენა პოლიტიკური კონკურენციაზე..

## 5. მოქალაქეთა უფლებების დაცვა და პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლა

„სამართლიანმა არჩევნებმა" 2025 წელსაც განაგრძო უფასო იურიდიული დახმარების პროგრამა, იცავდა საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლებს, რომლებიც პოლიტიკურად მოტივირებული გათავისუფლების, უკანონო რეორგანიზაციის ან უფლებების დარღვევის წინაშე აღმოჩნდნენ.

2025 წელს საქართველოში პოლიტიკური დისკრიმინაცია გადაიზარდა სისტემურ ადმინისტრაციულ წმენდაში, რომელმაც მიზანში ამოიღო სხვადასხვა პროფილის საჯარო მოსამსახურეები, მათ შორის კულტურის სექტორისა და საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლები.

ნაჩქარევი და არაგონივრული რეორგანიზაცია სახელმწიფო უწყებების მიერ პოლიტიკურად მოტივირებული გათავისუფლებების შენიღბვის მიზნით გამოყენებული ძირითადი სამართლებრივი ინსტრუმენტი იყო. ეს მექანიზმი აქტიურად იქნა გამოყენებული საჯარო სექტორის იმ თანამშრომლების წინააღმდეგ, რომლებიც საჯაროდ გამოხატავდნენ პროევროპულ პოზიციებს ან ახორციელებდნენ სიტყვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების კონსტიტუციურ უფლებებს.

მიუხედავად იმისა, რომ „სამართლიანი არჩევნები" მძიმე ადმინისტრაციული და ფინანსური წნეხის ქვეშ აღმოჩნდა, მათ შორის დაყადაღდა ორგანიზაციის საბანკო ანგარიშები, ჩვენ შევინარჩუნეთ უფასო იურიდიული დახმარების ქსელი და გავაგრძელეთ სტრატეგიული სამართალწარმოება შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების პასუხისმგებლობის დასაყენებლად.

### ძირითადი მიღწევები და შედეგები 2025 წელს:

- **იურიდიული კონსულტაცია:** ცხელი ხაზისა და რეგიონული ადვოკატების მეშვეობით **114 უფასო იურიდიული კონსულტაცია** გაიცა; მოქალაქეებს დახმარება გაეწიათ იურიდიული დოკუმენტაციის მომზადებასა და საქმის წარმოებაში.

- **საქმეთა რაოდენობა:** მთელი წლის განმავლობაში ორგანიზაციის იურისტები სამსახურიდან უკანონოდ ან პოლიტიკური მოტივით გათავისუფლებული პირების **191 საქმეს** აწარმოებდნენ.

- **წარმატებული საქმეები:** სასამართლოში წარმატებით გადაწყდა „სამართლიანი არჩევნების" დაცვის ქვეშ მყოფი პირების **20 საქმე**.

| „სამართლიანი არჩევნების“ უფასო იურიდიული დახმარება (2025) | |
|---|---|
| **იურიდიული კონსულტაცია** | 114 |
| **საქმეთა რაოდენობა** | 191 |
| **წარმატებული საქმეები** | 20 |

## სტრატეგიული სამართალწარმოება და მნიშვნელოვანი გამარჯვებები:

- **კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო:** „სამართლიანმა არჩევნებმა" სააგენტოს ექვსი ყოფილი თანამშრომლის სახელით სასამართლო დავა მოიგო. ეს პირები სამსახურიდან 2022 წლის რეორგანიზაციის ტალღის დროს გათავისუფლდნენ. სასამართლომ მათი გათავისუფლება უკანონოდ მიიჩნია და სააგენტოს კომპენსაციისა და განაცდური ხელფასების გადახდა დააკისრა.
- **გამარჯვება უზენაეს სასამართლოში (ელენე გახარიას საქმე):** საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები მოსარჩელის სასარგებლოდ, რომელიც უკანონოდ გაათავისუფლეს რუსთავის ხელოვნების, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების საქალაქო ცენტრიდან, და ცენტრს დააკისრა სრული კომპენსაციის გადახდა იძულებითი განაცდურისა და დამატებითი ფულადი ზიანის ანაზღაურებისთვის.
- **საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო:** „სამართლიანმა არჩევნებმა" სასამართლო დავები დაიწყო **43 პირის** საქმეზე, რომლებიც სააგენტოდან 2024 წლის დეკემბრის ბოლოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით საჯარო პოზიციის გამოხატვის შემდეგ გაათავისუფლეს.
- **ცესკო:** „სამართლიანმა არჩევნებმა" სარჩელები შეიტანა პრო-ევროპული პოზიციების მქონე **ექვსი თანამშრომლის** დასაცავად, რომლებიც 2024 წლის დეკემბერში ცესკოში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად გაათავისუფლეს.

- **საჯარო სექტორში მიმდინარე რეპრესიების დოკუმენტირება:** „სამართლიანმა არჩევნებმა" საკუთარი წვლილი შეიტანა სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივ ანგარიშში *ადამიანის უფლებათა კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ,* სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, დოკუმენტირებულია მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტების დაწყების შემდეგ საჯარო სამსახურში მიმდინარე საკადრო წმენდები.

# 6. სოციალური მედიის მონიტორინგი

„სამართლიანმა არჩევნებმა" 2025 წელსაც განაგრძო საინფორმაციო ოპერაციების, კოორდინირებული არაავთენტური ქცევის (CIB) და უცხოური საინფორმაციო მანიპულაციისა და ჩარევის (FIMI) უწყვეტი მონიტორინგი Facebook-ზე, Instagram-ზე, TikTok-ზე, YouTube-სა და Telegram-ზე.

## ძირითადი ანალიტიკური და საგამოძიებო პუბლიკაციები:



• გამოქვეყნდა **16 თემატური საგამოძიებო ანგარიში, სტატია და ბლოგი**, რომლებიც ეხებოდა სახელმწიფოსთან დაკავშირებულ პროპაგანდას, ანტი-დასავლურ ნარატივებსა და ციფრულ თავდასხმებს.

• გამოქვეყნდა **სამი კვარტალური ანგარიში პროპაგანდისა და ინფორმაციული ოპერაციების შესახებ საქართველოში**.

• გამოქვეყნდა ყოვლისმომცველი კვლევა: *Facebook-ზე პოლიტიკური რეკლამირების ხუთი წელი საქართველოში,* რომელშიც დეტალურადაა მიმოხილული 2020-დან 2025 წლამდე პერიოდში რეკლამებზე დახარჯული 6.8 მილიონი აშშ დოლარი. ანგარიშის მიხედვით, რეკლამის მოცულობითა და მათზე გაწეული ხარჯით მმართველი პარტია და პრო-სამთავრობო მედია გვერდები დომინირებდნენ.

• შესწავლილ იქნა *„ქართული ოცნების" პარტიული ონლაინ მედია ეკოსისტემის ფინანსური წყაროები,* რითაც გამოვლინდა, რომ „ქართულმა ოცნებამ" ონლაინ მედიის 22 კომპანიას/ორგანიზაციას ჯამში 1.5 მილიონ ლარზე მეტი გადაუხადა. გარდა ამისა, „ქართულ ოცნებასთან" დაკავშირებული ონლაინ მედია სააგენტოები საბიუჯეტო შემოსავლებს ძირითადად გამარტივებული შესყიდვების გზით იღებდნენ. 2019-2025 წლებში ამ ტიპის კონტრაქტების ჯამური ღირებულება 4.3 მილიონამდე ლარს გაუტოლდა.

| Facebook-ზე პოლიტიკური რეკლამირების 5 წელი საქართველოში (2020–2025) | |
|---|---|
| **პოლიტიკური/სოციალური რეკლამების ოდენობა** | 172 577 |
| **ჯამური ხარჯი (მეტას პლატფორმებზე)** | $6.8 მილიონი |
| **პოლიტიკური პარტიების რეკლამებზე დახარჯული თანხა** | $2.8 მილიონი |
| **დახარჯული თნხიდან მმართველი პარტიის წილი** | პარტიების მიერ დახარჯული მთლიანი თანხის ~50% |

### მანიპულაციური ტაქტიკების გამოვლენა:

- **გენდერული ნიშნით ონლაინ თავდასხმები:** გამოვლენილ იქნა სექსისტური დისკრედიტაციული კამპანიები, ვიზუალური მანიპულაცია და ონლაინ შევიწროება, რომლებიც Facebook-ზე და TikTok-ზე მიზანში იღებდნენ ქალ პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებსა და აქტივისტებს.
- **ვიდეო პროპაგანდა „ქუჩის გამოკითხვა“:** გამოვლენილ იქნა საინფორმაციო კამპანიები, რომლებშიც ყალბი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად გამოყენებული იყო დადგმულ ქუჩის გამოკითხვები Facebook-ზე, TikTok-ზე და YouTube-ზე; იდენტიფიცირდა ვიდეოები, რომლებმაც ჯამში 70 მილიონზე მეტი ნახვა დააგროვეს.

- **Meta-სთან თანამშრომლობა:** „სამართლიანმა არჩევნებმა” Meta-ს წარუდგინა მტკიცებულებები **რუსეთთან დაკავშირებული 32 Facebook გვერდის** შესახებ, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში მოქმედებდნენ და კოორდინირებული არაავთენტური ქცევით (CIB) გამოირჩეოდნენ. შედეგად, Meta-მ ეს გვერდები წაშალა.

## 7. ევროპული ინტეგრაცია

„სამართლიანი არჩევნებისთვის” საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობა 2025 წელსაც ძირითად სტრატეგიულ მიმართულებად დარჩა.

### ადვოკატირება და ძირითადი საჯარო აქტივობები:

- **ვიზალიბერალიზაციის დაცვა:** გამოქვეყნდა სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი განცხადებები, სადაც ღრმა შეშფოთება იყო გამოთქმული საქართველოს ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის პოტენციური გადახედვის გამო. „სამართლიანმა არჩევნებმა” დემოკრატიულ უკუსვლაზე პასუხისმგებლობა მთავრობას დააკისრა და დაუყოვნებელი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდა, რათა საქართველოს ევროკავშირის სტანდარტებსა და ფასეულობებთან შესაბამისობაში მოვიდეს.

- **ევროპის დღე 2025:** ევროპის დღისთვის საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის მიერ ორგანიზებულ საჯარო ღონისძიებებს „სამართლიანი არჩევნებიც” შეუერთდება, დღესასწაულს 18,000-ზე მეტი ვიზიტორი დაესწრო. „სამართლიანმა არჩევნებმა” სტუმრებს ინტერაქციული თამაში *„საარჩევნო ასოციაციები"* შესთავაზა, რომლის მიზანსაც ადამიანის უფლებებზე, არჩევნებზე, სამოქალაქო ჩართულობასა და ახალგაზრდების მონაწილეობაზე ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს.

## 8. საერთაშორისო მისიები

„სამართლიანი არჩევნები" გლობალური სადამკვირვებლო ქსელების აქტიური წევრი იყო, მონაწილეობდა საერთაშორისო ექსპერტთა პლატფორმებსა და გაცვლით პროგრამებში, რათა გაეზიარებინა გამოცდილება და დაეხვეწა მონიტორინგის მეთოდოლოგიები:

- **სასწავლო ვიზიტი გერმანიაში (თებერვალი 2025):** დემოკრატიული არჩევნების ევროპული პლატფორმის (EPDE) ეგიდით, „სამართლიანი არჩევნების" თანამშრომლები გერმანიის ბუნდესტაგის არჩევნებს ბერლინში დააკვირდნენ, გამართეს შეხვედრები ეუთო/ოდირის ექსპერტებთან, მედია და სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან და საარჩევნო ადმინისტრატორებთან.

- **EPDE-ის არჩევნების შემდგომი ვებინარის მოდერაცია:** „სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელმა დირექტორმა მოდერაცია გაუწია EPDE-ის საერთაშორისო ვებინარს, რომელიც საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის არჩევნებს მიეძღვნა.

- **კონფერენცია FURIC 2025:** „სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელმა დირექტორმა მონაწილეობა მიიღო *FURIC 2025* კონფერენციაში, რომელიც ევროპის პარლამენტთან და ეუთო/ოდირთან ერთად იყო ორგანიზებული. კონფერენციის მთავარი თემები იყო არჩევნებში ციფრული ჩარევა, ხელოვნური ინტელექტის საფრთხეები და ონლაინ კამპანიების ფარული დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა.

- **კონფერენცია „ფული პოლიტიკაში 2025":** „სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო რეგიონულ კონფერენციაში, რომელიც მოლდოვაში, კიშინიოვში გაიმართა.

- **არჩევნების კეთილსინდისიერების სამიტი აფრიკაში:** „სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ექსპერტთა პანელებში ზამბიაში, სადაც განიხილებოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება არჩევნებში და სამოქალაქო დაკვირვების თანამედროვე ტექნიკები.